გაზეთი „მორნინგ სტარის" მოსკოველი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ცხოვრების დონე საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება. მიუხედავად თავდაცვის ხარჯების რამდენადმე გადიდებისა, რაც გამოწვეულია ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობით. ინგლისის ბურჟუაზიული პრესის წინასწარმეტყველება, რომელიც მოელოდა საბჭოთა ეკონომიკის კრახს, წერს კორესპონდენტი, ახლა სულელურად გამოიყურება.

ტოკიო, 11 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიის პრესა ვრცლად აშუქებს და კომენტარს უძღვნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას.

გაზეთი „ტოკიო სიმბუნი", ახასიათებს რა საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარების გეგმას, ხაზს უსვამს, რომ დასახული საერთო ციფრები სამრეწველო წარმოების განვითარებისა წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულსაც კი აღემატება. გაზეთი აგრეთვე განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად არის, რომ ეკონომიკის განვითარების გეგმით 1968 წლისათვის დაგეგმილი მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპი აღემატება წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპს.

გაზეთი გამოთქვამს აზრს, რომ მტკიცეა რწმენა, რომლითაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები სახავენ ამგვარ გეგმებს, ემყარება ეკონომიური დაგეგმვის ასალი სისტემის წარმატებით დანერგვასა და უსზ მოსავალს, რომელიც მიღებულია მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რაიონში ამინდის არასელსაყრელი პირობები იყო.

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის დღევანდელი გაზეთების ფურცლებზე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია მოკლე ანგარიშებს გუშინ მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის შესახებ. ცნობები სესიის მუშაობის პირველი დღის შესახებ გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა საინფორმაციო საგაზეთმ, რადიომ და ტელევიზიამ.

საბჭოთა პარლამენტი, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი ჰენრი კამი, იხილავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების გეგმებს. ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის გეგმა ითვალისწინებენ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ტემპების დაჩქარებას.

ამავე დროს კორესპონდენტი იძულებულია აღიაროს, რომ ვიეტნამის ომთან, ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება აიძულებს საბჭოთა კავშირს დიდი ყურადღება დაუთმოს თავდაცვის საკითხებს.

ი. განდის გამოსვლა

ვარშავა, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ჩვენი მოლაპარაკეები სასარგებლო და შინაარსიანი იყო, მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულწრფელობის ატმოსფერში. განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება პოლონეთში. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო გვატყობინებს, ი. განდიმ, რომელიც გუშინ პოლონეთის ტელევიზიით გამოვიდა, გამოთქვა რწმენა, რომ ინდოეთ-პოლონეთის მოლაპარაკება ხელს შეიწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცებას და პროგრესს საერთო მიზნების — ხალხთა მშვიდობისა და ურთიერთგაგების დამყარების განხორციელებაში.

უ ტანის განცხადება

ნიუ-იორკი 11 ოქტომბერი. (საკდესი). პრესისათვის განცხადებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი მიეხალმა იმას, რომ ძალაში შევიდა პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება პრინციპების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოთა საქმიანობას კოსმოსური სივრცის, კერძოდ მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევასა და გამოყენებაში. ეს ხელშეკრულება ქმნის საფუძველს კოსმოსური სამართლის შემდგომი განვითარებისა და პროგრესისათვის კოსმოსში ადამიანის საქმიანობისადმი იურიდიული კონტროლის დარგში, ნათქვამია განცხადებაში.

უ ტანმა კმაყოფილებით აღნიშნა რომ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეასრულა ხელშეკრულების პროექტის შემუშავებასა და მის გამო მოლაპარაკებაში.



12 ოქტომბერი პოლონეთის შეიარაღებული ძალების დღე

ამ დღეს 24 წლის წინათ საბჭოთა მიწაზე შექმნილმა პოლონეთის აღორძინებული შეიარაღებული ძალების პირველმა ქვეგანაყოფებმა საბრძოლო ნათლობა მიიღეს ლენინოსანთან (ბელორუსია), გაანადგურეს ფაშისტ დამპყრობთა დაჯგუფება.

პოლონეთის შეიარაღებული ძალები, აღჭურვილნი თანამედროვე იარაღით, ფხიზლად დგანან ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა სადარაჯოზე და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მომავე არმიების ერთგული მოკავშირე არიან.

სურათზე: არტილერისტები სწავლებაზე.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

„აკანატა" „კულტურული რევოლუციის" შესახებ

ტოკიო, 10 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიის კომპარტიის ორგანომ გაზეთმა „აკანატამ" დღეს გამოაქვეყნა სტატია „მაო ძე-დუნის ახლანდელი კურსი და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა", რომლის ტექსტი დაამტკიცა იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულმა პლენუმმა.

სტატიაში მხილებულია მაო ძე-დუნის ანტიმარქსისტული ჯგუფი, რომელიც ძირს უთხრის საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ირღვევა ჩინეთის კომპარტიის წესდება — დიდი ხნით. აყოვნებენ პარტიის ყრილობის მოწვევას, არარეგულარულად იწვევენ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს. გაზეთი წერს, რომ „მაო ძე-დუნის „იდეებს" და მითითებებს აყენებენ ჩინეთის კომპარტიის ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებზე მაღლა.

მაო ძე-დუნის „ხელმძღვანელი" ჯგუფი, ნათქვამია სტატიაში, უარყოფს პარტიული დისციპლინისადმი უსიტყვო დამორჩილებას და ამავე დროს უხეში ძალადობის საშუალებით ნერგავს მაო ძე-დუნისადმი უსიტყვო მორჩილებას. ამრიგად, პარტიულ დისციპლინას ცვლის მაო ძე-დუნის ჯგუფისადმი მონური ერთგულებით". ეს ჯგუფი ითვლა პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მას არ ემორჩილებიან, ყველგან აჩაგვებს ბრძოლაა „ძალაუფლებისათვის", რომლის შედეგად პარტიულ და სახელმწიფო კომიტეტებს მთლიანად არღვევენ უფლებებს და ამ უფლებებს ცვლიან ერთიანი ძალითა და სხვა სამხედრო ძალით, რომელიც მათ ხელშია, ცდილობენ, რომ მთელ ჩინეთში დაშალონ პარტია. ეს კი ნიშნავს, რომ მათ სურთ პარტია გადააქციონ მაო ძე-დუნის ულტრამემარცხენეპორტუნისტული ჯგუფის სამფლობელოდ.

ყველა ეს ფაქტი, წერს „აკანატა", მოწმობს, რომ „დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის" პროცესში, რომელიც გასული წლიდან ხორციელდება, ძირი გამოეთხარა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის კანონიერ სტრუქტურას, ყველგან გათელილია მარქსისტულ-ლენინური პარტიის ორგანიზაციული პრინციპები, აგრეთვე მოწმობს, რომ ულტრამემარცხენეოპორტუნის ტ უ ლმა ჯგუფმა გაიმეორთებული ბატონობა. ამ ჯგუფის ინტერესებისათვის უხეშად გამოუთხაროს ძირი სახელმპარტია გადააქციოს თავის სამფლობელოდ.

მაოძედუნისტებმა მაო ძე-დუნი დააყენეს მარქსისა და ლენინის გვერდით და ცდილობდნენ წარმოდგენათ იგი — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის „უმაღლეს ხელმძღვანელად". სამწუხაროდ, ამ ფაქტებმა — „დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის" საერთო არა აქვს რა იმ კულტურულ რევოლუციასთან, რომელსაც გულისხმობს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია და პრაქტიკა და სავსებით განსხვავდება მისგან". „დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის", რომელიც ახლა ჩინეთში მიმდინარეობს, არ არის დიადი რევოლუციური საქმე, რომლის მიზანია სოციალიზმის გამარჯვება. პირიქით, მკაფიოდ დადასტურდა, რომ ეს არის ანტისოციალისტური, ანტიმარქსისტული, ანტილენინური საქმე, რომლის ერთად ერთი და მთავარი მიზანია დაამაროს და განამტკიცოს მაო ძე-დუნის ჯგუფის განუსაზღვრელი დესპოტური ბატონობა, ამ ჯგუფის ინტერესებისათვის უხეშად გამოუთხაროს ძირი სახელმპარტიის ორგანიზაციებსა და დისციპლინას, არარად აქციოს დიდი ჩინეთის რევოლუციის მონაპოვრები, დაშალოს ჩინეთის კომპარტია და სახელმწიფო ორგანოები.

დღეს მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სავსებით ცხადია, რომ არ შეიძლება მსოფლიოში სათაყვანებლად ცნო მარტო „ჩენი ქვეყნის ხელმძღვანელის თეორიები, ნაშრომები და შეხედულებები, არ შეიძლება მთელ მსოფლიოს მოახვიო თავს ამ თაყვანისცემის ავანტიურისტული, დოგმატიკრმეტელური პოზიცია, თუ არ ადგახარ ბრმა მიმდევრობისა და მლიქვნელობის პოზიციას. თუ არ გსურს ისე წარმოადგინო მაო ძე-დუნის ახლანდელი ანტიმარქსისტული, ანტილენინური კურსი, თითქოს ეს იყოს „თანამედროვე მარქსიზმ-ლენინიზმის მწვერვალი" ან „მსოფლიო რევოლუციის სახელმძღვანელო იდეები".

„აკანატა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაოს ჯგუფი ცდილობს „მაო ძე-დუნის იდეებს" აბსოლუტიზაციას, მათს დანერგვას ჩინეთში და საზღვარგარეთ, რაც დაკავშირებულია მაოს ჯგუფის გეგმასთან — თავს მოახვიოს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასა და მთელ რევოლუციურ მოძრაობას ულტრამემარცხენეოპორტუნისტული, გამოთშეულური კურსი, რომელიც ეწინააღმდეგება მსოფლიოს ხალხთა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს, დაამყაროს დესპოტური ბატონობა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

დასასრულ „აკანატა" წერს, რომ მაო ძე-დუნის ჯგუფის ულტრამემარცხენეოპორტუნიზმი უდიდეს ზიანს აყენებს ვიეტნამელი ხალხისადმი დახმარების საქმეს.

„ჯაშუში" თანამგზავრი

ნიუ-იორკი. 11 ოქტომბერს ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან გაუშვეს საიდუმლო თანამგზავრი. ამ თანამგზავრის გაშვების შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ გამოქვეყნებიათ.

(საკდესი).

ინდიელები ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის პრესის საგენტო გვატყობინებს, აქ ოფიციალურად გამოცხადეს, რომ გუშინ დილის 8 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ურის სექტორში (ჯამუსა და ქაშმირის შტატი) პაკისტანის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს ინდოეთის პატრულს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეები ჩავიდნენ ინციდენტის ადგილზე, რათა აწარმოონ გამოძიება. გამოძიების შედეგებს მოგვიანებით გამოაცხადებენ.

რავალპინდი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პაკისტანის პრესის საგენტო გვატყობინებს, რავალპინდის პოლიტიკური მეთვალყურენი გაკვირვა ინდოეთის თადაცვის მინისტრის განცხადებამ, თითქოს პაკისტანის ჯარებს სროლა აეტეხათ ინდოეთის პატრულისათვის ურის სექტორში ქაშმირში ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, ფაქტები მოწმობენ, გვატყობინებს საგენტო, რომ გუშინ ინდოელებმა ცეცხლი დაუშინეს პაკისტანის საგუშაგოს ბატონი ბულგეში. სროლა ხანგამოშვებით გრძელდებოდა 9 საათიდან 11 საათსა და 30 წუთამდე. პაკისტანის მხარეს ზარალი არ მოსვლია.

ამერიკის საწინააღმდეგო გამოსვლები თურქეთში

სტამბოლი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). თურქეთში გრძელდება ამერიკის საწინააღმდეგო გამოსვლები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყნის ნაცადგურებში შეეიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ხომალდები. „წადითრიეთ შინ!", „თურქეთი არასოდეს არ გახდება იმპერიალისტთა კოლონია" — ასეთი ლოზუნგებით შეხვდა იზმირის სტუდენტი ახალგაზრდობა ამერიკის ხომალდების ჯგუფის შესვლას იზმირის ნავსადგურში.

როგორც თურქეთის პრესა იუწყება, იზმირის პოლიცია ახორციელებს ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილოს ამერიკელ მეზღვაურებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო შეტაკებანი.

შტორმი ინდოეთის ორისის შტატში

დელი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ძლიერი შტორმი დაატყდა თავს ორისის შტატის სანაპიროს. კალკუტიდან მიღებული ცნობების თანახმად, შტორმის შედეგად დაიღუპა 50-ზე მეტი კაცი. უკვალოდ დაიკარგა რამდენიმე ასეული მეთადური, რომლებიც გაშლილ ზღვაში იყვნენ. შტატს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მოუვიდა.

პარაბი ხალხი არ დაეშორჩილება ოკუპანტებს

ბეირუთი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი ცდილობენ იორდანის დასავლეთი ნაპირი გადააქცევნ მკვიდრი არაბი მოსახლეობის დიდ საპყრობილედ", განაცხადა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე იორდანიის მინისტრმა ამდენ ჰამიდ საიემმ.

„მშვიდობიან არაბ მცხოვრებლებს, — თქვა შემდეგ მინისტრმა, — წაართვეს ყველაზე ელემენტარული თავისუფლებანი. ისრაელი ხელისუფალნი დევნიან მათ, შეურაცხყოფენ არაბთა რელიგიურ და ეროვნულ გრძნობებს, ბიწყავენ მუსლიმანურ და ქრისტიანულ ძეგლებს". ამდენ ჰამიდ საიემმა მოიყვანა იმ უკანონობისა და თვითნებობის უამრავი მაგალითი, რასაც ისრაელის ადმინისტრაცია სჩადის ოკუპირებულ რაიონებში. ისრაელები ანგრევენ არაბთა სახლებს, მცხოვრებლებს სულ ნახევარ საათს აძლევენ ბარგის შესაკრავად. რამალის რაიონში ისრაელებმა აღგვეს პირისაგან მიწისა არაბთა სამი სოფელი. ქალაქ ელ-ჰალილსა და იერუსალიმში ისრაელნი ანგრევენ მეჩეთებსა და ქრისტიანულ ტაძრებს. „ისრაელის ხელისუფალნი, — თქვა შემდეგ საიემმა, — მიზნად ისახავენ ოკუპირებულ რაიონებში მოსპონ არაბთა ეროვნული სული, მათი ზნეჩვეულებანი და წესები". „არაბი ხალხი, — ხაზი გაუსვა საიემმა, — არასოდეს არ დაემორჩილება ოკუპანტებს და განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს განთავისუფლებლად. არაბი ხალხები ებრალთა ერის წინააღმდეგ კი არა, არამედ ისრაელის სიონიზმის რეაქციული პოლიტიკისა და ექსპანსიონისტური ideologიების წინააღმდეგ იბრძვიან", — ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

ოქტომბრის 50 წლისთავი

სუტა ბერულავა

დაეევიფუარი

ორმოცდაათი წელი გავიდა
იმ ქარიშხლიდან, იმ სათავიდან,
როცა ანთო ლენინის ხელმა
რევოლუციის დიდი კანდელი
და გადაიქცა ოქტომბრის ელვად
ბრძოლა ამდენი, სისხლი ამდენი!

ორმოცდაათი წელი გავიდა
იმ ქარიშხლიდან, იმ სათავიდან,
როცა დამთავრდა, ვით ავი წყევლა,
დროებითების დრო ნეტარების
და დედამიწას აუწყა ნეგამ:
დასტურ შეეროდნენ პროლეტარები!

ორმოცდაათი წელი გავიდა
იმ ქარიშხლიდან, იმ სათავიდან,
როცა მიადგა სანუკვარ ნაპირს
ხომალდი მღელვარ ზღვაში შთენილი...
ვინ დაგვავიწყოს „აურორის" ზალპი
და ძმათა შორის მდგარი ლენინი.

ორმოცდაათი წელი გავიდა...

მამა

ზამთრის სასახლე, მდინარე ნევა,
ქუხილი ცისა და მიწის რყევა.
ალმოდებული, მრისხანე, წმინდა,
უკვდავი ცრცასჩვიდმეტი წელი!
შენ უკვე იყავ — აპრილის თვიდან —
დიდი ლენინის პარტიის წევრი.

შენც ბობოკრობდი ოქტომბრის ქარში,
ფოლადი რეკდა ბაბუკის ხმაში.
უსამართლობას ებრძოდი რისხვით,
გრძნობდი მომავლის სუნთქვას, ნაბიჯებს,
გაგონდებოდა მარტვილიც, კირცხიც
და მიბყვებოდი რუს ძმადნაფიცებს...

თუმცა დაეცი დიდი ხნის წინათ,
შორს არის შენი მარადი ბინა, —
ასე მგონია, ისევ ბგერს გული,
რომელიც მხოლოდ ხალხისთვის ბგერდა!
ყველა ჭრილობა და ყველა წყლული
წყალმა წარიღო წარსულთან ერთად.

შენც ეგებები ამ დიად ზეიმს!

შვილი

შენ ხარ შობილი ისეთ ვარსკვლავზე,
სულ იკაშკაშებ ამ ქვეყანაზე,

არ დაიღლები, არ დაბერდები,
არ მოგწყინდება ჩირაღდნად ენთო,
არ მიაშურებ ზეცას ვედრებით:
„მაპატე და მიშველე, ღმერთო!"

არ ჩაგიერება სინთლე სულში,
არც წყაროსთვალი დაგეშრიტება,
სადაც არ იყო, იქნები სულ შენ,
ფიქრებსაც აქცევ მწვანე ჩიტებად.

რომ დაგესიოს დარდივით მუმლი,
არ ჩაგდგება ნამი გუგებში,
არ გილალატებს მართალი გული,
არ მოგაკლდება ხალხის ნუგეში!

შენ დაიბადე ისეთ ვარსკვლავზე,
სულ იკაშკაშებ ამ ქვეყანაზე...

ორი პრემიერა

ცხინვალის ა. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა საიუბილეო წლის სეზონი ორი ახალი დადგმით გახსნა.

სეზონის პირველ პრემიერად წარმოდგენილ იქნა ჰ. კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება", რომლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა ი. მაცხონაშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის ვ. დონდოლაძეს, მუსიკალური გაფორმება — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლ. ქიშმარეშვილს.

მეორე პრემიერად მაყურებელმა ნახა კონან-დოილის „შერლოკ ჰოლმსი" (თარგმანი ე. მაღრაძისა). სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. შაფთოშვილმა, მხატვრულად გაფორმეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა გ. ცერაძემ და ვ. ცერაძემ, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის გ. მაღრაძეს.

ი. გაგნიძე.

საიუბილეო დათვალიერება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა ჩვენს ქვეყანაში ასლანან დამთავრებული. მუზეუმების საკავშირო დათვალიერება, რომელიც სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 1965 წლის იანვრიდან დაიწყო.

დათვალიერების პერიოდში მუზეუმებში მრავალი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა. ამაღლდა სამეცნიერო-კვლევითი, შემკრებლობითი, ეკსპოზიციო და მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის დონე. ამას ადასტურებს თუნდაც შემდეგი მონაცემები: 1964 წელთან შედარებით 1966 წელს მარტო კულტურის სამინისტროს მუზეუმში სამუზეუმო ფონდს 112 ათასი ექსპონატი შეემატა, გამოფენილი ექსპონატების რაოდენობა სამი ათასი ერთეულით გადიდდა, ხოლო დამთვალიერებელთა რიცხვმა 1,3 მილიონი კაცით იმატა, დამუშავდა მრავალი სამეცნიერო თემა და გაიმართა სამოცდათაზე მეტი სამეცნიერო სესია.

ამ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა მუზეუმმა ისახელა თავი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. მუზეუმის კოლექტივმა შეავსო და განაახლა ისტორიის რევოლუციამდელი პერიოდის ექსპოზიცია, მოაწყო საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი სტაციონარული ექსპოზიცია, რომელშიც ნათლად არის წარმოდგენილი ქართველი ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული წარმატებები მრეწველობასა და მეურნეობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში; ექსპოზიციაში ასახულია ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლების დონე.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნა ისტორიის რევოლუციამდელი პერიოდის და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი ახალი სტაციონარული ექსპოზიციები. ამასთან გაიმართა 2 საშეკნიერო სესია, შეგროვდა 2.346 სამუზეუმო ექსპონატი, რომელთაგან 1.003 საბჭოთა საზოგადოების ისტორიის პერიოდს განეკუთვნება.

ზაჭარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში სისტემატურად ავსებენ და აუმჯობესებენ ქართველი ხალხის სასიქადულო კომპოზიტორის ზაჭარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ სტაციონარულ ექსპოზიციას, რომელსაც ამჟამად დაემატა ახალი თემა „ზაჭარია ფალიაშვილი და ჩვენი თანამედროვეობა". მუზეუმმა მოამზადა და გამოსცა ლამაზად გაფორმებული მეგზური, შეადგინა დიდი კომპოზიტორის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მრავალი ნივთი და დოკუმენტი.

დათვალიერებაზე კარგი მაჩვენებლებით წარსდგნენ აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმები, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები, რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმი (ქ. ბათუმში), გეგეჭკორის, რუსთავისა და ჩოხატაურის ნაბარეთმცოდნეობის მუზეუმები, ილია ჭავჭავაძის, სერგო ორჯონიკიძის, ეგნატე ნინოშვილისა და ნიკო ნიკოლაძის მემორიალური მუზეუმები.

სამუზეუმო ფონდების შევსებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი მასალების შეგროვებას. დათვალიერების პერიოდ ში თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა თბილისის მსხვილ საწარმოებში შეაგროვა 2.572 ექსპონატი, რომელთაგან ორი ათასზე მეტი საბჭოთა საზოგადოების ისტორიასთან არის დაკავშირებული. ამავე პერიოდში საბრერეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმში შეგროვებული 2.959 სამუზეუმო ექსპონატიდან დიდი უმრავლესობა საბჭოთა საზოგადოების ისტორიას განეკუთვნება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რესპუბლიკის მუზეუმებში გაწეული საექსპოზიციო მუშაობა. ამ საქმიანობაში მუზეუმის მუშაკებისა და მხატვრების ერთობლივმა მუშაობამ საგრძნობლად ამაღლა ექსპოზიციების, განსაკუთრებით საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი ექსპოზიციების რეგორც იდეურ-შინაარსობრივი, ისე მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების დონე.

საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი ახლად მოწყობილი ექსპოზიციები თავისი ფორმით საგრძნობლად გახსხვავდება ერთმანეთისაგან.

საინტერესო მუშაობა გაწეული ამრომელთა მასობრივი საშეცნიერო-საგანმანათლებლო მომსახურებისათვის. თითქმის ყველა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო სპეციალური ლექციები და საუბრები, სამეცნიერო სესიები, მოძრავი და ერთდროული გამოფენები, მიძღვნილი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი, დიდი სამამულო ომის დამთავრების 20 წლისთავისადმი, მოსკოვის დაცვის 25 წლისთავისადმი, დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი.

ამ დღეებში მუზეუმების საკავშირო დათვალიერების საქართველოს რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეაჯამა დათვალიერებაში მონაწილე მუზეუმების მუშაობის შედეგები და მოპოვებული წარმატებებისათვის პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოდა 30, ხოლო სპატაკი სიგელით 11 მუზეუმი.

გარდა ამისა, მოწონაუნ მუზეუმების დიდი ჯგუფი ჯარდგენილია საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის ჯილდოზე.

ჩვენი მუზეუმის საპატიო ამოცანაა განამტკიცონ და განაგითაარონ დათვალიერებაში მოპოვებული წარმატებები, კიდევ უფრო აამაღლონ სამუზეუმო მუშაობის შინაარსი და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშრომელთა და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ვ. იაქაშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე.

შეხვედრები მაინის ფრანკფურტში

დასავლეთ გერმანიაში შეასრულეს რ. გაბიჩვაძის სიმფონია

ერვლისის ერთ საღამოს ქალაქ მიუნხენის რადიომ მოაწყო საათნახევრიანი გადაცემა, რომელიც მთლიანად ქართველ კომპოზიტორს **რევაზ გაბიჩვაძეს** მიეძღვნა. ვრცლად იყო მოყვანილი კომპოზიტორის ბიოგრაფია, დიდი ადგილი დაეთმო მისი შემოქმედების ზუსტ დახასიათებას. გადაცემა დამთავრდა კონცერტით, რომელიც შედგებოდა რევაზ გაბიჩვაძის სიმფონიური ნაწარმოებებიდან.

ასე, კომპოზიტორის დაუსწრებლად დაიწყო გერმანელებთან ნაცნობობა. უფრო გვიან კი რევაზ გაბიჩვაძემ მიიღო წერილი გერმანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების გამგეობისაგან, რომელიც ოფიციალურად სთხოვდა ქართველ კომპოზიტორს სწვეოდა მაინის ფრანკფურტს, სადაც პალმენგარტენის საუკეთესო საკონცერტო დარბაზში ქალაქ ჰესენის რადიოს ორკესტრი შეასრულებდა „რევაზ გაბიჩვაძის სიმფონიას „სიმეზიანი საკრავების, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის".

ქართველმა კომპოზიტორმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თორმეტ დღეს დაპყო. რევაზ გაბიჩვაძის სტუმრობა გერმანიის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა ვრცლად გააშუქა. ეს კი, რა თქმა უნდა, ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის გარდა დიდი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვლეაა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველ კომპოზიტორთაგან რევაზ გაბიჩვაძე პირველია, რომელიც სპეციალური ვიზიტით იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

კომპოზიტორის სტუმრობა მაინის ფრანკფურტში და კოსკერტი, რომელიც შესრულდა ქართველი მუსიკოსის სიმფონია, მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავს. ჰესენის რადიოს სიმფონიური ორკესტრის პროგრამაში იყო ჩაიკოვსკი, პროკოფიევი და გაბიჩვაძე — ანუ საბჭოთა ხალხის მუსიკალური კლასიკოსის წარსული და აწმყო, როგორც ეს ადგილობრივმა პრესამ აღნიშნა.

კონცერტის წინა დღეს პრესაში გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ რევაზ გაბიჩვაძესთან. კომპოზიტორი უპასუხებდა კორესპონდენტის შეკითხვებზე, რომელიც ძირითადად ეხებოდა მუსიკისა და კომპოზიციის საკითხებს საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოში.

მაინის ფრანკფურტის რატუშაში (მეერია) ქალაქის ობერბურგომისტრმა დოქტორმა ბრუნდერტმა ოფიციალურად მიიღო სტუმარი და მიესალმა მას. რევაზ გაბიჩვაძემ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც აღნიშნა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ნაყოფიერი მუშაობა და მადლობა გადაუხადა კულტურული მიღებისათვის.

ქალაქის ტუნეგში გამოფენილმა აფიშებმა პალმენგარტენის დარბაზში მრავალი მსმენელი მოიზიდა. საბჭოთა კომპოზიტორის შემოქმედებისადმი ინტერესმა მოლოდინს გადააჭარბა. ათასაგენილიანმა დარბაზმა კონცერტზე დასწრების მსურველნი ვერ დაიტია...

კონცერტის დაწყებამდე ქალაქის ოფიციალური წარმომადგენელი კიდევ ერთხელ მიესალმა რევაზ გაბიჩვაძეს. საზოგადოების აზრით ქართველი კომპოზიტორის სტუმრობა აღიშანეტება წმინდა მუსიკალურ მნიშვნელობას.

კომპოზიტორის განწყობილება ამ ნაწარმოებში, — წერდა გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშუ", — ბგერათა დახვეწილი წონასწორობისაკენ იხრება. იგი ოსტატურად იყენებს სიმეზიან საკრავებს, ფორტეპიანო და ლიტავრები კი ფერთა სიუხვისა და აქცენტირების როლს ასრულებს. ნაწარმოები აგებულია ტრადიციისა და ახლის ძიების შერწყმაზე, რაც თავი თავად შესაძლებელი მხოლოდ მაღალი საკომპოზიციო ოსტატობისას. ყველაზე დიდი მხატვრულ-ემოციური ზეგავლენა მოახდინა მელოდიურმა მესამე ნაწილის ადაჟიოს მუსიკალურმა ქარგამ.

კონცერტს დიდი მოწონება ხვდა. კომპოზიტორს ამის შემდეგ შეხვდნენ პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

სიმფონიის წარმატებამ განაპირობა შემდეგი მეგობრული დამოკიდებულება და რევაზ გაბიჩვაძე მიიწვიეს ქ

ჩვენს ყრე-ყრეში

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲜᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲜᲐᲘᲠ-ᲜᲐᲘᲠᲘ

ᲑᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). კიდევ ერთი ახალი საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს ჯიმითელმა კოლმეურნეებმა — საელექტროფიკაციოდ გადაეცა სოფლის ბანაო და ახალი წყალსადენი.

დღესასწაულის დღეებისათვის დამთავრდება აფთიაქის შენებლობა.

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). რაიონში კარგ წიგნს ბევრი ერთგული პროპაგანდისტი და მეგობარი ჰყავს. აქ წარმატებით ჩაიარა წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების ერთთვიურმა. ამ კეთილშობილურ საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურისა და ცკკავშირის გამგეობის დადგენილებით საქართველოს ალკკ ორჯონიკიძის რაიკომი დაჯილდოებულია კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სატატო სიგელითა და პირველი ჯილდოთი „მოსკვიჩ“-408-ით, ხოლო რაიკოოპკავშირის წიგნით ვაჭრობის განყოფილების გამგე ტ. ცქიტიშვილი — ფულადი ჯილდოთი.

ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). ამ დღეებში მრავალველიანი სატელეფონო კომუტატორი დამონტაჟდა სილნაღისა და წნორის სატელეფონო სადგურებში. ორი ავტომატური სატელეფონო სადგური ახლა დაკავშირებულია რამდენიმე მუდმივმოქმედი ავტომატური ხაზით, რაც ბევრად აადვილებს რაიონის ადმინისტრაციული და სამრეწველო ცენტრების სატელეფონო კავშირს. ოქტომბრის დღესასწაულისათვის დამაკავშირებელი ხაზების რაოდენობა ერთიორად გაიზრდება.

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲣᲪᲮᲠᲔᲚᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲜᲘ კონსერვატორიის პროფესორი ივეტ გრიმო, რომელიც დიდი ინტერესით სწავლობს ქართულ-კახურ სიმღერებს, ამ დღეებში უცხოელს ესტუმრა. ივეტ გრიმომ ფირზე ჩაიწერა ძველთაძველი კახური სიმღერები, რომლებიც შილდელმა მოხუცებმა ნინია ელოშვილმა, ამირან დეკანოზიშვილმა, დათა თეთრაშვილმა და ვასო ახალბედაშვილმა შეასრულეს.

ფრანგმა სტუმარმა ჩაიწერა ბგრეთვე ყუარლის სარაიონო კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ

ᲒᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ითხეული ბ. იაკობაძე მიწის დამუშავებისას ქვეყრს წააწყდა. იგი წითელი თიხისაგან არის დამზადებული. კიდლის სისქე ორი სანტიმეტრია. ირგვლივ შემოვლებული აქვს რკინისებური ამოკაწვრითი ხაზები.

ქვაეარში აღმოჩნდა ფრიად საინტერესო სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთები, ქალის სამკაულები და სხვ.

ეს საინტერესო ნაპოვნი მეცნიერული შესწავლის ღირსია.

ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ, ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲔᲜ

ᲮᲣᲗᲓᲔᲓᲘᲐᲜ სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით მშრომელები ხშირად აწყობენ ექსკურსიებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის დასათვალიერებლად. ახლახან საჩხერის საყალიბე ქვიშების მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა მოაწყო ორდღიანი ექსკურსია მარშრუტით: საჩხერე-ახალციხე-ვარძია-ახალქალაქი-ბაკურიანი-ბორჯომი-საჩხერე.

ექსკურსანტებმა ინტერესით დაათვალიერეს ქ. ახალციხე, კლდე-ქალაქი ვარძიის გამოქვაბულები, ახალქალაქი, ბაკურიანის სამთო ხათხილამურო სპორტული ბაზები და ნადირთსაშენი საბჭოთა მეურნეობა, ხოლო ბორჯომში კალინინის სახელობის შუშის ქარხანა, ბორჯომ-პარკი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ბორჯომის მახლობლად — ლიკანის ისტორიული მუზეუმი.

Ა. ᲐᲜᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. აწყურის საშუალო სკოლის დირექციამ გადწყვიტა მოსწავლეებს ადგილზე გააცნოს რევოლუციური ბრძოლების ამსახველი ისტორიული ადგილები.

ამას წინათ მოსწავლეები სკოლის დირექტორის თ. ოთიაშვილის ხელმძღვანელობით ეწვივნენ თბილისს. აქ მათ ინახულეს ავლაბრის არალეგალური სტამბა, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი.

Ბ. ᲩᲔᲠᲗᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ კერამიკოსთა ნაწარმი ოდითგანვე გამოირჩეოდა მაღალი ხარისხითა და ორიგინალურობით. არც ახლა ღალატობენ ამ უძველესი ხელოვნების მდიდარ ტრადიციებს ჩვენი კერამიკოსები. მათი ნაწარმი უკვე მსოფლიოს ყველა კუთხეში „მოგზაურობს“ და ყოველდღიურად სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენს.

მარტო თბილისის კერამიკულმა კომბინატმა წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასამდე დასახელების ნიმუში გაგზავნა. თბილისელი კერამიკოსების ნახელავი დიდი რაოდენობით იყო ექსპონირებული ალჟირის მსოფლიო ბაზრობაზე, მონრეალში საერთაშორისო გამოფენაზე და მოწონება დაიმსახურა. ეს კომბინატის შრომისმოყვარე კოლექტივის დიდი წარმატებაა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ქმნის აქ ლამაზ ნახელავს. მათ შორის არის სამხატვრო საამქროს მხატვარ-შემსრულებელი ლამარა ბარუჭავა. ქართველი ქალიშვილის ხელით მოხატული აზარფეშები, ჯამები, ჭინჭილები დღესაც განაგრძობენ მსოფლიოში „მოგზაურობას“ და ხელიდან ხელში გადადიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ლამარა გარუჩავა.

ფოტო **Მ. ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.**

ᲛᲔᲤᲔ ᲕᲐᲖᲘ

1.500 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲕᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲐᲖᲘᲡ სიცოცხლის ხანგრძლივობისა და თვითეული ძირიდან ყურძნის მაქსიმალური მოსავლის მიღების უნარიანობის დადგენა საინტერესოა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. იგი დაკავშირებულია ერთი მხრივ მეცნიერის ბიოლოგიასთან, ხოლო მეორე მხრივ ადამიანისა და გარემოს ზემოქმედებასთან, და ვენახის მოვლის ყოველი პროგრესული ღონისძიების შემუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

როცა რომელიმე ქვეყანაში ძველი ვაზების არსებობაზე მსჯელობენ, პირველ რიგში იკითხავენ, რა ხნისაა ვაზი და რომელი ჯიშია, რა ფართობი უჭირავს, რამელ წელს არის მიღებული ყველაზე დიდი მოსავალი და როგორია პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები მცენარის ასაკობრივი ცვლილებებისა და მოვლა-პატრონობის შესაბამისად.

საქმე ის არის, რომ ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა მთელი რიგი მიზეზების გამო არ ხერხდება. საქართველოში ამ მიმართულებით წარმოებული შუამაბის შედეგად გამოირკვა, რომ ბევრგან ყურძნის მოსავლის რაოდენობას არც კი აღრიცხავენ ხოლმე, არ იციან ასეთი ხანდაზმული მცენარის აღზრდის, ასე ვთქვათ ბიოგრაფია, მოვლის წესები, ჯიშის ვინაობა და, რაც მთავარია, ვაზის ზუსტი ასაკი, ხშირად მას მიახლოებითი ციფრით გამოხატავენ ხოლმე.

მაგრამ ყველგან ასე როდია. აბა ვნახოთ სიღნაღის რაიონში, სოფელ ქვემო ბოდბეში ლადო აბულაშვილის ეზოში საუკუნეს გადაცილებული, გიგანტური შტამბის მქონე, დღეისათვის ადგილ-ადგილ დაფუტურებული და კანზე ხავსმოკიდებული ვაზი.

ნეტავ რა ხნისაა ეს გოლიათი? ყველა ამას იკითხავს პირველად.

ჩვენც, როდესაც ამას წინათ მივაგენით იშვიათი სანახაობის ვაზს, მისი ასაკით დაინტერესდით. მისმა მეპატრონემ და მომვლელმა, 73 წლის ბაღარა კოლმეურნემ ლადო აბულაშვილმა გვითხრა, ვაზი 133 წლისაა. აღსანიშნავია, რომ ასეთი ზუსტი მონაცემებით ძველი ვაზების ასაკის განსაზღვრის სხვა შემთხვევა არა გვქონია. აი მონაცემები: 1922 წელს 100 წლის ასაკში გარდაიცვალა ლადოს მამა. შვილებისთვის მას ბევრჯერ მოუყოლია თავისი ვაზის ისტორია. თურმე იგი 12 წლის ბიჭი იყო, როცა მისმა მამამ ტყეში წაიყვანა. ბავშვმა ვაზის რეა იპოვნა, წამოიღო და თავიანთი სახლის გვერდით, სადაც ახლაც ცივი წყარო გამოდის, მის მახლობლად დარგო. ლადომ მამის სიტყვებიც გაიხსენა, წყაროს გვერდით ფხვიერ მიწაში პალო ჩავასვი და ისე დავრგე რქაო. იმავე წელს დაიწყო ლაღი ზრდა. ამრიგად ამ ვაზის ხნოვანება 133 წელი გამოდის.

3-4 ათეული წლის წინათ ეს ვაზი რაღაც არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. აოცებდა მნახველს თავისი მსმოიარობითა და სიდიდით. თალარს სიგრძე 200 მეტრი აქონია, მთელი ეზო, ორსართულიანი შენობა და მის უკან მდებარე ფერდა მთლიანად დაფარული ყოფილა. ორი მეტრი სიმაღლის ღვეის ხის ბოძებზე მოწყობილი გორაკის ქვეშ თურმე 300 კაცის სუფრა იშლებოდა.

ყველაზე საინტერესო მომენტი ვაზის ცხოვრებიდან მაინც ყურძნის კრეფა იყო. 2-3 დღეს გრძელდებოდა რთველი და 1950 წლამდე 10-12 გოდორზე ნაკლები ყურძენი არცერთხელ არ მოკრეფილა. იქაური გოდორი კი საშუალოდ 150 კილოგრამს იწონის, ისე რომ 10 გოდორი ყურძენი ტონანახევარზე მეტია. ასეთი მოსავალი და ისიც ერთი საუკუნის ასაკში მყოფი ერთი ვაზიდან განსაცვიფრებელია!

რამდენიმე ხნის წინათ მისთვის შეუჭრიათ მსხვილი ტოტები და მუხის მორიგით გამსხვილებულ შტამბს (ძირს), რომლის გარშემოწერილობა ნიადაგის ზედაპირთან ერთი მეტრი და 17 სანტიმეტრია, სიდამპლე გასჩენია. ვაზი დაფუტუროებულა. დაფუტუროება, ისე ღრმად წასულა ზემოდან, რომ როცა დახედავთ, შტამბი თავასდილი ქვევრის პირს წაგავს.

მაგნებლებიც ბლომად დასახლებულან ამ ბოლო ხანებში მის მრავალწლიან ნაფილებზე, ბლომად შესცვივან ცრუფარიანები, ზიანდება ჭრაქით. ყოველივე ამის გამო, დღეს იმის მესამედი აღარ არის, რაც 20-30 წლის წინათ ყოფილა. ახლა ვაზს 130 კვადრატული მეტრი ფართობი მაინც უჭირავს და 2-3 გოდორი ყურძენი კიდევ იკრეფება.

ჯიშის სადაურობა და მისი წარმოშობა გაურკვეველია. ქვემო ბოდბეში მას ტყის ვაზს ეძახიან, აღრიცხვის დროს ეთაროში ჩვენ ჯერჯერობით პირობით ასე შევიტანეთ მისი სახელწოდება, როგორც სინონიმი, მაგრამ იქნებ მართლაც ტყის ვაზი?

ახლო მომავალში მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს განზრახული აქვს მოახდინოს ჯიშის ბოტანიკური აღწერა, აგრობიოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესწავლა, რის საფუძველზე დადგენილ იქნება ჯიში და მისი წარმოშობა. ყურძენი საადრეოა, აგვისტოს ბოლოსათვის აღწევს სრულ ტექნიკურ სიმწიფეს, წითელია, ბტევანი მსხვილი. აქვს — ზოგიერთის წონა ნახევარ კილოგრამს აღწევს. მას ძირითადად იყენებენ როგორც სუფრის ყურძენს, მაგრამ ღვინოც ბევრჯერ დაუყენებია. მისი ღვინო სასიამოვნო სასმელი ყოფილა, დაძველებამი კი გემოს კარგავს და საერთოდ დიდხანს არ ინახებაო.

ვაზი ქართველი კაცის მეგობარი, მისი ძალისა და სიმხნევის მიმცემი, მისი ბედნიერებისა და სიმდიდრის წყარო იყო და იქნება. ქვემობოდბელი აბულაშვილისა და სხვათა ანალოგიური მაგალითები ამის საუკეთესო დადასტურებაა და იგი ფართოდ უნდა იქნას განზოგადებული.

Ა. ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: გოლიათი ვაზი ლ. აბულაშვილის ეზოში.

ფოტო ე. ხილდირიანისა.



ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲤᲚᲔᲘᲢᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲣᲖᲑᲔᲙᲘ ხალხის კულტურისა და ხელოვნების ისტორიის რესპუბლიკური მუზეუმის (სამარყანდი) უძველეს რელიკვიათა დარბაზში გამოფენილია უიშვიათესი ფლეიტა, რომელიც, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, სულ ცოტა ხუთი ათასი წლისაა.

სალამურის ტიპის ეს საკრავი ოსტატურად არის გამოთლილი მთლიანი ძვლისაგან. ფლეიტა იპოვა ტაშკენტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც გათხრებს აწარმოებდა ურგუთის რაიონის სოფელ მუმინაბადის ახლოს. აქ იპოვეს აგრეთვე ბრინჯაოს ხანის ქალის სამარხი. ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს სხვადასხვა სამკაულთა შორის იპოვეს სწორედ ეს უნიკალური ფლეიტა.

სპეციალისტები განსაკუთრებით აღტაცებული არიან იშვიათი მუსიკალური საკრავით, რომელიც უკვე დაეხმარა მეცნიერებს გამოეტანათ პირველი დიდმნიშვნელოვანი დასკვნა — უზბეკეთის ზარაფშანის ველის მოსახლე ტომები ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში იცნობდნენ ინსტრუმენტულ მუსიკას. მუზეუმის მუშაკები ვარაუდობენ, რომ რესტავრაციის შემდეგ ფლეიტა აუღერდება.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ ᲛᲐᲠᲐᲚᲓᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

„ᲘᲣᲠᲙᲐ“ — ძველი მარალი უკვე ათი წლისაა. კრასნოიარსკის მხარის ერმაკის რაიონის მარალის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც „იურკა“ ძოვს, იგი სარგებლობს არა მარტო ვეტერანის სიპატივცემულობით, არამედ რეკორდსმენის სახელითაც.

წლევანდელ ზაფხულის სეზონში ირმის რქებს მოსჭრეს 7 კილოგრამი და 600 გრამი პანტი, რომლისგანაც ფარმაცევტები დაამზადებენ უძვირფასეს წამალს — პანტოკრინს. ეს მართლაც რეკორდია: ჩვეულებრივ მარალის რქებისაგან იღებენ მხოლოდ ხუთ კილოგრამამდე პანტს. (საკ.ინფ.).

ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲥᲐᲗᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ მოხდა ენგურის ენერგეტიკული კასკადის შენებლარე საწნეო გვირაბის ერთ-ერთ უბანზე. სალამოს 10 საათი იყო. კილომეტრიანი სანგრევის შუა ადგილას წყლის ნაკადმა გამორეცხა ქანი და შეიჭრა გვირაბში. წყალი სწრაფად მატულობდა, მას შეეძლო გასასვლელი ჩაეკეტა ადამიანებისათვის.

„გვირაბმშენის“ სამმართველოს მესაქე უბნის უფროსმა გენო გამყრელიძემ უმალ მიიღო გადაწყვეტილება: გადავარჩინოთ მექანიზმები, მოწყობილობა, მანქანები, სანგრევი ხე-ტყე გამოვიყენოთ ტიეებისათვის...

სამი საათის შემდეგ გვირაბი წყალმა აავსო, ზოგ ადგილას წყალი 2-2,5 მეტრზე ავიდა. მაგრამ ამ დროისათვის მძღოლმა გოგი მეშველიანმა მოასწრო მეტი წილი მექანიზმების გატანა.

სანგრევიდან ორ კილომეტრზე მდებარე დაბიდან მოვიდა საავარიო ბრიგადა. ტუმბოები დააყენეს ტიეებზე, წყლის ამოსატუმბავად სანგრევისაკენ გაიყვანეს 800-მეტრიანი მილსადენი...

მაგრამ შუაღამისას ახალი უბედურება დაატყდათ თავს. წყალმა დაფარა ავტომტვირთავები, ავზებიდან ბენზინმა დაიწყო ღონვა. ელექტროშეფდუღების შემთხვევითი ნაპერწკალი — და გვირაბში ხანძარი გაჩნდა.

ალი უახლოვდებოდა მოძრავ შემდუღებელ აგრეგატს. და როცა თითქოს აფეთქება გარდუვალი იყო, უბნის მექანიკოსმა ლევან მაჭავარიანმა მოაბრუნა ტრაქტორი და სრული სიხშირეით წაიყვანა ხანძრის ადგილისაკენ. იგი უურადღებას არ აქცევდა დამწვრომელი ნახტომით ჩაფუშა მეტოქის გადაცემა და წინ გაიჭრა. ზურაბი კონტრიერიშებს ყოველთვის თვითონ როდი აგვირგვინებს, ხშირად, უკანასკნელ მომენტში, უფრო ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ პარტნიორებს აწვდის ბურთს.

ოცი წლის თბილისელი სტუდენტი კი არ დარბის, დაფრინავს, თითქოს მერანზე იჯდეს. შეუძლებელია დაეწიო მას.

მწვრთნელებმა ერთბაშად შენიშნეს ზურაბი, 1964 წელს იგი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში შედიოდა და ევროპის იუნიორთა ჩემპიონი გახდა, 1965 წელს კი მოსკოვში პირველად მოიპოვა კონტინენტის ოქრო. წელს ზ. საკანდელიძე მსოფლიოს ჩემპიონი და კვლავ ევროპის ჩემპიონი გახდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ზ. საკანდელიძე.

ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ მკითხველებმა კარგად იციან ევროპის კალათბურთელთა ჩემპიონატის შედეგები. მსოფლიოს ჩემპიონებმა დაუმარცხებლად გაიარეს ტურნირი და პირველი ადგილი დაისაკუთრეს, ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეეტანა თბილისის დინამოელმა ზურაბ საკანდელიძემ.

და აი ევროპის პირველობის დამთავრების შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტმა კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელთა სია შეადგინა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულია კოეელი ანატოლი პოლივოდა, საუკეთესო მცველად თბილისელი ზურაბ საკანდელიძე, ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კაუნასელი მოდესტას პაულაუსკასი, რომლებსაც გადაეცათ სპეციალური პრიზები.

აი რას წერდა გაზეთი „პრავდა“ ერთ-ერთი მატჩის შემდეგ თავის რეპორტაჟში ფინეთიდან: ...კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა ზურაბ საკანდელიძემ. კოსმოსური სიჩქარით მოძრაობდა მოედანზე თბილისელი, ეს-ეს იყო იგი ხელს უშლიდა მოწინააღმდეგეს ბურთის თამაშში შეყვანას, წამის შემდეგ ცენტრში გაჩნდა, წარმოუდგენელი ნახტომით ჩაფუშა მეტოქის გადაცემა და წინ გაიჭრა. ზურაბი კონტრიერიშებს ყოველთვის თვითონ როდი აგვირგვინებს, ხშირად, უკანასკნელ მომენტში, უფრო ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ პარტნიორებს აწვდის ბურთს.

ოცი წლის თბილისელი სტუდენტი კი არ დარბის, დაფრინავს, თითქოს მერანზე იჯდეს. შეუძლებელია დაეწიო მას.

მწვრთნელებმა ერთბაშად შენიშნეს ზურაბი, 1964 წელს იგი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში შედიოდა და ევროპის იუნიორთა ჩემპიონი გახდა, 1965 წელს კი მოსკოვში პირველად მოიპოვა კონტინენტის ოქრო. წელს ზ. საკანდელიძე მსოფლიოს ჩემპიონი და კვლავ ევროპის ჩემპიონი გახდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ზ. საკანდელიძე.

Მ. ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲘᲐᲚᲢᲐᲨᲘ გრძელდება სსრ კავშირის პირველობა კლდეზე ცოცვაში. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ქართველმა მთამსვლელმა მიხეილ ხერგიანმა მეორედ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი.

მ. ხერგიანს უცხოეთში „ᲚᲔᲓᲘᲡ ᲕᲐᲨᲕᲘ“ შეარქვეს. დღეს იგი თავისი

ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ქალაქ ვინიპეგში დასასრულს უახლოვდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

შეექვსე ტურში ბ. კერესმა მოუგო იანოვსკის (კანადა), ბ. სპასკიმ — კოგანს (ისრაელი), ყაიმით დამთავრდა მატანოვიჩ (იუგოსლავია)-დარგას (აფრ), გეორგიუ (რუმინეთი)-ბენკოსა (აშშ) და საბო (უნგრეთი)-ლარსენის (დანია) შეხვედრები. მეშვიდე ტურში ყაიმი იქნა ფიქსირებული სპასკი-საბოს, დარგა-გეორგიუს, იანოვსკი-მატანოვიჩისა და ლარსენ-კერესის პარტიებში. ბენკომ დაამარცხა კოგანი.

ტურნირზე ლიდერობენ საბჭოთა გროსმაისტერები ბ. სპასკი და ბ. კერესი, აგრეთვე კ. დარგა, თითეული მთვლის 4,5-4,5 ქულა აქვს. ოთხ-ოთხი ქულა აქვთ ლარსენს, გეორგიუსა და ბენკოს. ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტური რჩება.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

☐ **ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ოთხ მოთამაშეს: **ა. ბიბას, ვ. სერებრიანიკოვს, ვ. ტურიანჩიკს, ვ. შჩეგოლკოვს.**

☐ **ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ „ᲑᲣᲠᲯᲒᲕᲘᲡᲢᲔᲜᲘᲙᲘᲡ“** ოფიციალურ ჩემპიონობა მეათეჯერ მოიპოვა თბილისელმა **Ი. ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲐᲛ**, მეორე და მესამე ადგილებიც თბილისელებს ერგოთ — **ლ. ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** და **Ო. ᲞᲐᲞᲐᲫᲘᲡᲐᲡ.**

☐ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲞᲐᲠᲨᲘ დამთავრდა სპორტსაზოგადოება „ᲑᲣᲠᲯᲒᲕᲘᲡᲢᲔᲜᲘᲙᲘᲡ“ საკავშირო ჩემპიონატი ჭიდაობა სამმოში. პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ორმა წარმომადგენელმა — **Ი. ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** და **რ. ᲛᲐᲦᲐᲚᲫᲔᲛᲘ.**

ᲤᲝᲢᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲐᲗᲐ 50-Ე ᲬᲘᲠᲐᲓᲘᲡᲐ, რომელიც შედგა ხოფ. თერჯოლაში **1967 წლის 5 ოქტომბერს,** მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების ანგარიშების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტრობით ანაბრის საშუალო თანხის მიმართ				
		Ა — 233	25%	Ა — 617	25%
		Ა — 276	200%	Ა — 643	25%
		Ა — 309	25%	Ა — 689	100%
		Ა — 337	25%	Ა — 729	25%
		Ა — 394	25%	Ა — 767	25%
		Ა — 439	50%	Ა — 807	25%
Ა — 1	50%	Ა — 471	100%	Ა — 872	25%
Ა — 70	25%	Ა — 515	25%	Ა — 894	25%
Ა — 119	25%	Ა — 543	25%	Ა — 928	25%
Ა — 153	25%	Ა — 580	25%	Ა — 964	25%
Ა — 167	25%				

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშებს რიცხვი ათასზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. №№ Ა-1, Ა-1001, Ა-2001, Ა-70, Ა-1070, Ა-2070 და სხვ.

ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲩᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ თავმჯდომარე — თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **Ბ. ᲑᲣᲜᲐᲫᲘᲫᲔ.**

ᲮᲐᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკredიტის სამმართველოს განყოფილების უფროსი **Ა. ᲨᲐᲥᲘᲜᲘᲫᲔ.**

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროებისა და სახკredიტის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი **Მ. ᲗᲐᲛᲐᲡᲘᲫᲔ.**

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲡᲝᲗ, ᲠᲐ ᲕᲔᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის, „ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს“, 18.20 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — „დიადი თარიღის შესახვედრად, „სოფელი, რომელზეც წერდა ლენინი“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 19.00 — საუბარი — „ახლებურად მუშაობის შედეგი“ (სტუდიაში მაუდ-კამელის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მ. ბაბუნაშვილი), 19.15 — კონნარკვეევი, 19.25 — განცხადებები, 19.30 — „მსოფლიო დღეს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა „კინოს თვალით“, 20.50 — კონნარკვეევი, 21.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.40 — ქართული მხატვრული ფილმი „გიორგობისთვე“, 23.15 — გადაცემათა პროგრამა 13 ოქტომბრისათვის, 23.20 — ვარიაცია შვიდი ათასი საყვარისათვის (გადაცემა რიგიდან ინტერვიზიისათვის).

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

10.00 — კონნარკვეევი, 10.30 — „ხელოვნების ოსტატები“ — ა. პაპანოვი (ცენტრალური ტელევიზიის ნაწარმოები), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო — „არქიტექტურა და მის ბინადართა ცხოვრება“, 18.50 — კონნარკვეევი, 19.00 — გადაცემა „მეღორის ზურაბ სოტკილავა“, 19.30 — აშხაბადის ტელევიზიის პროგრამა, 22.30 — საღამოს პანორამა სატელევიზიო ცნობათა ბიურო, 23.15 — ახალი ამბები,

ᲛᲔᲝᲪᲮᲠᲔ ᲐᲠᲮᲘᲗ — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რაც გინახავს, ეეღარ ნახავ, **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ეეღარ ნახავ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძია ეღიოზი (№ 40 აბონ. საღ. 6 ს.).

რედაქტორის მოადგილე
Ბ. ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐ

##